

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიაქროს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე და ასრულებს რექტორის მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სისტემის შექმნა, საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობა. ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების საზოგადოებისთვის გაცნობა, მისი საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება საერთაშორისო პროექტებისა და პროგრამების, გრანტების თაობაზე და მასში ჩაბმის ხელშეწყობა.

2. სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პოპულარიზაციას;

ბ) უზრუნველყოფს სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების საჯაროობას;

გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

დ) უზრუნველყოფს უცხოურ უნივერსიტეტებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებაში ხელშეწყობას, ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო მობილობას;

ე) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის საქმიანი ვიზიტების დაგეგმვა-ორგანიზებას;

ვ) უზრუნველყოფს სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელებას;

ზ) ზრუნავს უნივერსიტეტის შესაძლებლობების რეკლამირებაზე;

თ) ხელს უწყობს საქართველოში აკრედიტებულ დოპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობას;

ი) ახორციელებს პარტნიორი უნივერსიტეტების, სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების, სამინისტროებისა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების, საელჩოს წარმომადგენლებისა და უცხოელი დელეგაციების მიღება-მასპინძლობის ორგანიზებას;

კ) ახორციელებს უნივერსიტეტში სხვადასხვა სახის კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციებისა და შეხვედრების ორგანიზებასა და გაშუქებას;

ლ) ახორციელებს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის, სოციალური და მედია გვერდების მართვას;

მ) ახორციელებს უნივერსიტეტის ოფიციალური ელ. ფოსტის (info@sangu.edu.ge) მართვას, წერილების მიღება-გაგზავნას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამსახურებისთვის შემოსული ინფორმაციის მიწოდებას;

ნ) უნივერსიტეტის სახელით აქვეყნებს ოფიციალურ მიმართვებს, განცხადებებს და სხვა სახის ინფორმაციას;

ო) ამყარებს კონტაქტს მასმედიასთან;

პ) ამზადებს პრესრელიზებსა და სხვა საინფორმაციო მასალებს (სტატია, ინტერვიუ, სტუდენტური დღიურები და ა.შ)

ჟ) ახორციელებს ჩატარებული ღონისძიებების შედეგების ანალიზს;

რ) უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას;

ს) ასრულებს ხელმძღვანელობის სხვა მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამსახურისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.